

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №176/2017

ქ. თბილისი

“ 05 “ ოქტომბერი 2017 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი უფროსის მ.შ დემნა ხელაიას სახით და მეორეს მხრივ, **შპს „აი პი ეს ჯორჯია“** (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლალი მუშველიშვილის სახით, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT170005170** გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

- 1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
- 1.3. “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. “მომსახურება” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.5. “ტექნიკური დავალება” - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.6. “ტექნიკური დოკუმენტაცია” - მიმწოდებლის მიერ ტენდერში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ბეჭდვისა და ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა (CPV79823000)**.
- 2.2. ბეჭდვისა და მათი მიწოდების პირობების აღწერა მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
- 2.3. მოსაწოდებელი, დაბეჭდილი ბლანკების რაოდენობები და ერთეულის ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში**.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4366 (ოთხი ათას სამას სამოცდაექვსი) ლარს**
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს დღგს-ჩათვლით.
- 3.3. ხელშეკრულება ფინანსდება სახელმწიფო ქვეპროგრამის - „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია“-ს ფარგლებში, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი